პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 ოქტომბერი, შაბათი, 1988 წ.
№ 198 (9865) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## ჩვენი დიდება, ჩვენი სიქადული

### თბილისის უნივერსიტეტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

**ჩვენი** დიდება, ჩვენი სიქადული — თბილისის უნივერსიტეტი თავის იუბილეს აღნიშნავს. ღირსეულად განაგრძობს და ავითარებს ქართველ განმანათლებელთა უნიკალურ ტრადიციებს. დიდი ქართველი მამულიშვილების მიერ დაარსებული განათლების ეს კერა გახდა ახალი ცხოვრების აღმშენებლობის აქტიური მონაწილე, მას მჭიდროდ უკავშირდება მრავალი თაობის ადამიანების ბედი, რომლებსაც ცხოვრებამ დააკისრა საპატიო მისია — ცოდნის შუქი მოჰფინონ ჩვენს ქვეყანას. თავი მოუყარონ ყოველივე საუკეთესოს, რასაც ეპოქა წარმოშობს.

დროისა და თაობათა კავშირი ცხადყო საზეიმო საიუბილეო საღამომ, რომელიც 14 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. გ. გუმბარიძე, გ. ნ. ენუქიძე, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, გ. ხ. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე, პ. პ. ჩხეიძე. მთავრობის საიუბილეო კომისიის წევრები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, სტუდენტების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საზეიმო საღამო გახსნა მთავრობის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ.

საიუბილეო საღამოზე მოხსენება წაიკითხა თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. ამაღლობელმა.

საღამოზე გამოსულმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. თავხელიძემ აღნიშნა უნივერსიტეტის დიდი წვლილი ქართული მეცნიერების ზრდა-განვითარებაში, ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის შექმნაში.

ქართული მეცნიერული აზროვნების, კერძოდ, ფილოლოგიის განვითარებაში თბილისის უნივერსიტეტის როლის შესახებ ილაპარაკა აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ.

უნივერსიტეტის სახელოვანი სამოცდაათი წლისთავის მილოცვით გამოვიდნენ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი პროფესორი ვ. დობრენკოვი, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. ერშოვი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ამბარცუმიანი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ა. გვარამია, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. ველიევი.

საღამოზე გამოსულმა საზღვარგარეთელმა სტუმრებმა — ბონის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა კარლ ჰორსტ შმიდტმა, ლოძის უნივერსიტეტის რექტორმა ვლადისლავ კორჩეკმა, შვეიცარიის ბირთვული ფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა როლახდ ენგფერმა, ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორმა ლუიჯი მაგაროტიმ თბილისის უნივერსიტეტს, მის მრავალათასიან კოლექტივს უსურვეს ნაყოფიერი საქმიანობა მშვიდობისა და პროგრესის დასამკვიდრებლად.

სტუდენტი ახალგაზრდობის სახელით გამოვიდა ხათუნა თუმანიშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ცოდნის ტაძარს, დიდი ცხოვრების საგზურს რომ აძლევს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს.

დასასრულ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

• • •

საღამოს რესპუბლიკის მთავრობამ დარბაზობა გაუმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მონაწილეებსა და სტუმრებს. (საქინფორმი).

**როგორც** ცნობილია, საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფული გამარჯვებით დამთავრდა სეულის ოლიმპიური თამაშები, რომელიც მსოფლიოში დღემდე არნახული მასშტაბის სპორტული ასპარეზობა იყო. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა სეულში მოიპოვეს ყველაზე მეტი — 132 მედალი, აქედან 55 ოქროსი, 31 ვერცხლისა და 46 ბრინჯაოსი. საბჭოთა სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში გამოდიოდა საქართველოს 16 წარმომადგენელი, მათ შინ ჩამოიტანეს 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა.

სამშაბათს, 18 ოქტომბერს, თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდება სეულის ოლიმპიური თამაშების მონაწილე საქართველოს სპორტსმენებისადმი მიძღვნილი ზეიმი. დასაწყისი 20 საათზე.

იმავე დღეს 11 საათზე დილის ტყე-პარკის ჩემპიონთა ხეივანში გაიმართება ოლიმპიური ჩემპიონების მიერ ხეების დარგვის ცერემონიალი.

მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის

## მეცხრე პარტია

**მ. ჩიბურდანიძე —**

**ნ. იოსელიანი**

**სიცილიური დაცვა**

1. e4 c5 2. მc3 e6 3. მf3 a6 4. d4 cd 5. მ:d4 d6 6. g3 მc6 7. კg2 კd7 8. 0—0 მf6 9. a4 კe7 10. მ:c6 კ:c6 11. a5 0—0 12. კe3 მd7 13. კd4 ლc7 14. ლe2 კf6 15. კ:f6 მ:f6 16. ეfd1 ეfd8 17. ლc4 ეac8 18. ლb4 ეb8 19. ეd2 b5 20. ეad1 მe8 21. მa2 ეdc8 22. ეe1 კb7 23. ლa3 ლc5 24. მb4 მf6 25. ლb3 მg4 26. h3 მe5 27. მd3 ლc4 28. მ:e5 ლ:b3 29. cb de 30. ეed1 მფf8 31. f3 ეc5 32. კf1 ეbc8 33. მფf2 ეc2 34. კd3 ე:d2+ 35. ე:d2 მფe7 36. მფe3 ეc7 37. ეc2 ეd7 38. ეd2 ეd4 39. კc2 ე:d2 40. მფ:d2 მფd6 41. b4 g6.

ყაიმი.

ამ პარტიაში კვლავ სიცილიური დაცვა გათამაშდა, ოღონდ თუ წინა მერვე შეხვედრაში, იგი მსოფლიო ჩემპიონმა გამოიყენა, ამჯერად პრეტენდენტმა აირჩია ეს ძველი და მრავალნაცადი სისტემა. მაია ჩიბურდანიძემ პოპულარულ გაგრძელებებს ოდნავ პასიური თამაში არჩია და კუ g2 უჯრაზე გადაიყვანა. აქ ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მატჩში ერთი ქულის სხვაობით მსოფლიო ჩემპიონია წინ, ხოლო საერთოდ, ორთაბრძოლის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, იგი ინარჩუნებს თავის წოდებას. ალბათ ამიტომაც მოერიდა მაია ჩიბურდანიძე მწვავე გაგრძელებებს და შედარებით მშვიდი თამაში არჩია. მე-11 სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა a5 უჯრაზე წასწია პაიკი და ამით მეტოქეს აგრძნობინა, რომ იგი ლაზიერის ფრთაზე აპირებდა აქტიურ თამაშს, მაგრამ შავუჯროვან კუთა გაცვლის შემდეგ ეს a5 პაიკი დასუსტდა და შავების შეტევის ობიექტი გახდა. პოზიცია თეთრებისგან მეტად ზუსტ თამაშს ითხოვდა. როცა იოსელიანმა b5 სვლა ითამაშა, სპეციალისტების აზრით ჩიბურდანიძეს საპასუხოდ პაიკი უნდა გაეცვალა (ab), რის შემდეგაც სასურველი იყო ლაზიერის a3 ან a5 უჯრაზე გადაყვანა. მაგრამ მან ეad1 არჩია და ენდშპილში ოდნავ უარესი პოზიცია მიიღო.

საფიქრებელი იყო, რომ პრეტენდენტი უფრო აქტიურად ითამაშებდა და ხელიდან არ გაუშვებდა ამ მცირე უპირატესობას, მაგრამ მან ნაადრევად გაცვალა ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ეტლიც და დაფაზე სრულიად თანაბარი პოზიცია წარმოიშვა. 41-ე სვლაზე კი მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მატჩის ანგარიში გახდა 5:4 მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მორიგი, მეათე პარტია, რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს. თეთრებით ნანა იოსელიანი ითამაშებს.

**დავით ჟელიძე,**
**ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.**

თელავი.

## ჭაბუკ ფეხბურთელთა დიდი წარმატება

**ზვახახელეს** თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის აღზრდილებმა: ოდესაში გამართული უმაღლესი, ოლიმპიური რეზერვებისა და I ლიგის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული პირველობის საკავშირო გათამაშებაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

ჩვენმა სასახელო საფეხბურთო სკოლამ კვლავ შეგვახსენა თავი. უკვე ორ წელზე ცოტა მეტია, რაც 35-ე სკოლა ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე ახალ შენობაში გადავიდა. ორი წელი არც ისე დიდი დროა, მაგრამ ამ შედარებით მოკლე ხანშიც მან საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა. სკოლას ევროპის ჩემპიონი ჰყავს ამჟამად თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრის ომარ თეთრაძის სახით. 35-ე სკოლის წარმომადგენლებმა ბოლო ორი წლის მანძილზე მრავალ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ თავი არსად შეურცხვენიათ. ეს ბოლო გამარჯვებაც კი, რომელიც ჩვენმა ფეხბურთელებმა ახლახან ოდესაში მოიპოვეს, თავისებური დასტურია იმ შრომისა და საქმის სიყვარულისა, რომელსაც მთელი კოლექტივი ეწევა.

1973 წელს ქ. ტყიბულში გამართულ ასეთსავე პირველობაზე 35-ე საფეხბურთო სკოლამ უკვე იზეიმა გამარჯვება და, აი, თხუთმეტი წლის შემდეგ, კვლავ დიდი წარმატება. ფინალურ ტურნირში ჩვენი ქვეყნის 6 უძლიერეს კოლექტივს შორის გუნდმა პირველობა არავის დაუთმო. განვლილი შეჯიბრების პერიპეტიებზე ვთხოვეთ მოეთხრო გამარჯვებული გუნდის მთავარ მწვრთნელს **ზურაბ მაისურაძეს.**

— დავიწყებ იმით, რომ იმ ექვს კოლექტივს შორის, რომლებმაც ფინალური საგზური მოიპოვეს, — თქვა მწვრთნელმა,—სუსტი არავინ იყო. ამიტომ ყოველი შეხვედრა ნერვებისა და ფიზიკური ენერგიის უკიდურეს დაძაბვას მოითხოვდა.

● **კონკრეტულად როგორ მიმდინარეობდა ოდესის ტურნირი? მკითხველმა იცის, რომ კარგად აღებული სტარტის შემდეგ გუნდმა ფინიშთან, თითქოს, წაიფორხილა.**

— პირველსავე შეხვედრაში მასპინძლებს — ოდესის „ჩერნომორეცის" გუნდს ვძლიეთ — 3:1 (ბურთები გაიტანეს ქოჩლაძემ, ყაველაშვილმა და ნეფარიძემ). მანამდე ფავორიტებად კიევისა და ოდესის გუნდებს მიიჩნევდნენ, ჩვენ კი სწორედ ამ გამარჯვების შემდეგ მოვხვდით საყოველთაო ყურადღების ცენტრში. მეორე შეხვედრაში მინსკის დინამოელები დავამარცხეთ — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი რონინ კერძევაძემ გაიტანა.

● **მსგავს შეჯიბრებაში ორ თამაშში აღებული მაქსიმუმი საკმაოდ მყარი გარანტიაა საიმისოდ, რომ გუნდმა ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. შესაძლოა, კოლექტივზე უარყოფითად იმოქმედა სტარტზე აღებულმა ოთხმა ქულამ.**

— უფრო მართებული იქნებოდა ერთპიროვნულ ლიდერად ყოფნას ჩვენი გუნდისთვის დამატებითი ძალები შეემატებინა. ფინალში ხომ სულ ხუთი შეხვედრაა ჩასატარებელი და სტარტზე აღებულ ოთხ

იხ. მე-4 გვ.



საკავშირო პირველობაში გამარჯვებული თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდი.
გია აბალაძის ფოტო.

## გუშინ...

**კალათბურთელთა 56-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველ მატჩში თბილისის „დინამომ" ალმა-ათის არმიელთა კოლექტივი დაამარცხა — 98:92 (43:48).**

### ერთი ჩემპიონი

**სპორტსაზოგადოება** „დინამოს" ჩემპიონის წოდება მოიპოვა კლასიკური სტილის მოჭიდავემ, თბილისელმა ჯემალ ბაკურაძემ. ქალაქ კიროვში გამართულ შეჯიბრებაზე საქართველოს მოჭიდავეთაგან მან ერთადერთმა შეძლო გამარჯვება. იგი 82 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა.

### ინფორმაცია

**სეული.** XXIV ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თანამშრომელთა ნახევარზე მეტი თამაშების შემდეგ უმუშევარი დარჩა. როგორც ფრანს-პრესის სააგენტო იუწყება, 1422 მუშაკიდან 579 სხვადასხვა დაწესებულებიდან დროებით იყვნენ გადმობირებულნი. ახლა ისინი ძირითად საქმიანობას დაუბრუნდნენ. დანარჩენებმა კი თავიანთ თავს თვითონვე უნდა მიხედონ.

**დავოსი.** აქ დაიწყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური ტურნირი ჰოკეიში. შეჯიბრებაში მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა. მისი მეტოქეები არიან: ჩეხოსლოვაკიის „ტესლა" (პარდუბიცე), სტოკჰოლმის აიკ-ი და ფინეთის კლუბი „ტაპარა" (ტამპერე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჟამი შეძრისა, ჟამი განსჯისა**

# საით მიდის ქართული ჩოგბურთი?

**ამ** ბოლო ხანს ჩვენს სპორტულ და არა მარტო სპორტულ პრესაში, დიდი ადგილი ეთმობა საქართველოში ფეხბურთის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებს, როგორღაც დავივიწყეთ, რომ ფეხბურთის გარდა სპორტის სხვა სათამაშო სახეობანიც არსებობს, სადაც მდგომარეობა ფეხბურთზე უკეთესი არ არის. მხედველობაში მაქვს ფრენბურთი, ხელბურთი, კალათბურთი და, ბოლოს, ჩოგბურთი.

რადგან მალე სპორტში მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს აღვნიშნავ, ჩემთვის სულ ერთი არ არის რა მდგომარეობაა ჩემს საყვარელ სახეობაში. ამიტომ გადავწყვიტე გამოსვლა სტატიით, რომელიც შეძლებისამებრ დაეხმარება რესპუბლიკაში ჩოგბურთის განვითარებას.

საქართველოში ჩოგბურთს დიდი ტრადიციები აქვს. მრავალი წლის განმავლობაში რესპუბლიკის ჩოგბურთელები ღირსეულად წარმოადგენდნენ ქართულ სპორტს საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე. ჯერ კიდევ 1928 წელს ამიერკავკასიის ფედერაციის ნაკრებმა გუნდმა, საქართველოს ჩოგბურთელთაგან რომ შედგებოდა, საკავშირო სპარტაკიადაზე მე-2 ადგილი დაიკავა. 30-იან წლებში სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა შორის იყვნენ ე. ნეგრებეცკი, ა. მდივანი, რომლებიც ერთეულთა და წყვილთა თანრიგში სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ. 40-იან წლებში ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულში ირიცხებოდნენ ი. ელერდაშვილი და ბ. კრუპენიკოვი, 50-იან წლებში — ვ. ურაევსკი, ი. ერმოლოვა, ხოლო 60-70-იან წლებში — ა. მეტრეველი, ი. ერმოლოვა, რ. აბჟანდაძე, ა. ივანოვა, ნ. თუხარელი, თ. კაკულია, ნ. მძინარიშვილი.

საქართველოს ჩოგბურთელები გუნდურ შეჯიბრებებშიც მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ. მაგალითად, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაზე II ადგილზე ვიყავით. 70-იან წლებში საქართველოს ჩოგბურთელები რამდენიმეჯერ ფლობდნენ სსრ კავშირის თასს. რესპუბლიკის ჩოგბურთელებს წარმატებები ჰქონდათ აგრეთვე ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

მაგრამ შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ჩოგბურთი საქართველოში პრაქტიკულად ა. მეტრეველისა და თ. კაკულიას სახელებს დაუკავშირდა. საქმე ისაა, რომ იმ დიდ წარმატებებთან ერთად წამყვან სპორტსმენთა ღირსეული ცვლის მომზადება იყო საჭირო, რაც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. ამას მოჰყვა სერიოზული ჩავარდნები ჭაბუკებისა და გოგონების შეჯიბრებებში, სპორტისათვის დაიკარგა ჩოგბურთელთა მთელი თაობები. ის ფაქტიც მოითხოვდა ყურადღების გამახვილებას, რომ ასპარეზიდან წამყვანი ჩოგბურთელების წასვლის შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში არც ერთი ქართველი ჩოგბურთელი ქალი და ვაჟი 1986 წლამდე ქვეყნის უძლიერეს მოთამაშეთა ათეულში არ შესულა.

რამ გამოიწვია ასეთი ვითარება? აქ შეიძლება მივუთითოთ იმ შეცდომებზე, რაც სპორტსახკომის, ჩოგბურთის ფედერაციის, მწვრთნელთა საბჭოს და სხვების მიერ იყო დაშვებული. მაგრამ მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენს წამყვან სპეციალისტებს, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს რესპუბლიკაში ჩოგბურთის გასავითარებლად, ღირსეული ცვლა არ მოუმზადებიათ. და თუ მოამზადეს, მათთვის შესაბამისი პირობები არ იყო შექმნილი. მაგალითის სახით შეიძლება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გ. თოხაძის მოღვაწეობის მოყვანა. მან ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბათუმში მუშაობის პერიოდში შექმნა ჩოგბურთელთა ძლიერი კოლექტივი, რომლის წევრთაგან ზოგი სპორტის ოსტატი გახდა. თბილისში დაბრუნებისას თოხაძემ ვერ შეძლო პროფესიონალ მწვრთნელად მუშაობის გაგრძელება, იძულებული გახდა ბავშვთა მასობრივ სპორტში წასულიყო და ჩოგბურთთან, პრაქტიკულად, საზოგადოებრივ საწყისებზე იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, მან აღზარდა ისეთი სპორტსმენები, როგორებიც არიან ლ. მესხი და დ. კაჭარავა. თოხაძეზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ ჩვენს ჩოგბურთში ასეთი მაგალითი საკმაოდ ბევრია.

70-იანი წლების დასასრულს შექმნილი მძიმე სიტუაციის გასაჯანსაღებლად მიღებულმა ზომებმა ქართულ ჩოგბურთს გარკვეული წარმატებები მოუტანა. საქართველოს ნაკრები 1979 და 1981 წლების სსრ კავშირის ჩემპიონია ჭაბუკთა და გოგონათა შორის. პრაქტიკულად ერთი შემადგენლობით საქართველოს ნაკრებმა გუნდმა მოსწავლეთა სპარტაკიადაზე (1966-1969 წლებში დაბადებულნი — 1984 წ.), ჭაბუკთა I საკავშირო თამაშებზე (1967-1970 წლებში დაბადებულნი — 1985 წ.) და სსრ კავშირის ხალხთა მე-9 სპარტაკიადაზე (1986 წ.) შესაბამისად III, I და III ადგილები დაიკავა. ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი ჩავარდნები. 1987 წელს სპორტსკოლების აღსაზრდელთა I საკავშირო თამაშებში გუნდმა მე-6 ადგილი დაიკავა, ხოლო ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებზე მე-8 ადგილს დავჯერდით. იქამდე მივედით, რომ 1988 წლის საკავშირო პირველობაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ვ. გაბრიჩიძემ და დ. კაჭარავამ მოიპოვეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლ. მესხმა საპატიო მიზეზის გამო ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღო. აღარაფერს ვამბობ სტუდენტთა თამაშებზე, სადაც ჩვენი ნაკრები მე-9 ადგილს დასჯერდა, ვფიქრობ, სტუდენტური სპორტის, კერძოდ, უმაღლეს სასწავლებლებში ჩოგბურთის მდგომარეობა ცალკე საუბრის თემაა.

რატომ დაიწყო ახალი კრიზისი? ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა რთული საქმეა. ის კი ცხადია, რომ ლ. მესხის გამარჯვებათა მიღმა იმალება მთელი რიგი მიზეზებისა, რომლებიც რესპუბლიკაში ჩოგბურთის განვითარებას ამუხრუჭებენ. შევეცდები ზოგიერთ მათგანზე გავამახვილო ყურადღება.

ავიღოთ სელექციის საკითხი. ჩვენი შესაძლებლობანი შეზღუდულია, რესპუბლიკა ვერ უწევს მეტოქეობას უკრაინის, მოსკოვის ჩოგბურთელებს, სადაც მომზადების პირობები ჩვენთან შედარებით ბევრად უკეთესია. სხვა რესპუბლიკებშიც, მაგალითად, ლატვიაში, ესტონეთში, ბელორუსიაში მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნება საჩოგბურთო მეურნეობის ორგანიზაციის მხრივ.

ჩვენი რესპუბლიკისათვის ერთადერთი გამოსავალი სპორტული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული კარგად გააზრებული სელექციაა. სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთი შერჩევა საერთოდ არ არსებობს. ამის შედეგად, მცირე გამონაკლისის გარდა, ვღებულობთ ჩოგბურთელებს, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური მონაცემების გამო არ შეუძლიათ მაღალ მიღწევებზე პრეტენზია განაცხადონ.

ტექნიკური მომზადება. თანამედროვე სპორტის გაზრდილი მოთხოვნების პირობებში ჩოგბურთელის ტექნიკურ მომზადებას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. მისი ოსტატობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საფუძვლის ჩაყრა მწვრთნელთა საბჭოს კომპეტენციაში უნდა შედიოდეს, რომელიც მწვრთნელ-პრაქტიკოსებთან ერთად თამაშის ტექნიკის შესწავლის ყველაზე თანამედროვე მეთოდებს უნდა ნერგავდეს. ეს ჩვენთან ფაქტიურად არ სრულდება. ამა თუ იმ ტექნიკური ილეთის ათვისებისას აზრთა სხვაობა იწვევს იმას, რომ ვღებულობთ ჩოგბურთელებს, რომლებიც ცუდად ფლობენ თამაშის ხერხებს. დაწყებით მომზადებაში ჩავარდნის აღმოფხვრა, როდესაც ჩოგბურთელი ნაკრებ გუნდში ხვდება, ძალზე ჭირს. შეიძლება მაგალითების მოყვანა — ლ. მესხსა და ვ. გაბრიჩიძეს უჭირთ მარჯვნიდან დარტყმა, ხოლო დ. კაჭარავას — მარჯვნიდან დარტყმა და ბურთის მოწოდება. ეს ნაკლი დამახასიათებელია ყველა ასაკის ქართველ ჩოგბურთელთა ძირითადი მასისათვის.

ორგანიზაციული საკითხი. სპორტის ორგანიზაციის საკითხები მეტად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ჩვენი რესპუბლიკისთვის, რომელსაც შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობანი აქვს. რესპუბლიკაში ჩოგბურთის მართვის სტრუქტურა იერარქიულია. ამ იერარქიის ერთ-ერთი რგოლია ჩოგბურთის ფედერაცია თავისი კომისიებითა და მწვრთნელთა საბჭოთი. ამჟამად ვითარება ისეთია, რომ ჩოგბურთში ყველა საქმეს არსებითად განაგებს მწვრთნელთა საბჭო თ. კაკულიას თავმჯდომარეობით. იგივე თ. კაკულია გახლავთ ნაკრები გუნდების ხელმძღვანელი და სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული ოლიმპიური რეზერვის სკოლის დირექტორი. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ თ. კაკულია ლ. მესხის მწვრთნელია, იგი რესპუბლიკის საჩოგბურთო ცხოვრებაში ვერ იღებს მუდმივ მონაწილეობას, რადგან ხშირად თავის შეგირდთან ერთად საზღვარგარეთ უწევს მოგზაურობა, ეს კი საპასუხისმგებლო სტარტებისათვის ნაკრები გუნდების მომზადებაში კოორდინაციის დარღვევას ნიშნავს. ასეთი ხელმძღვანელობის შედეგები აშკარაა — ჩავარდნები 1987-1988 წლებში. ცხადია, უნდა მივულოცოთ თ. კაკულიას ის, რომ ლ. მესხმა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, მაგრამ გავიხსენოთ 70-იანი წლები, შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში რესპუბლიკაში მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი დაგვრჩეს.

ხშირად სპორტსახკომისა და ჩოგბურთის ფედერაციის კოლეგიის სხდომები, სადაც ჩვეულებრივ განიხილება ნაკრები გუნდების მომზადების საკითხები და მათი გამოსვლის შედეგები, საჩოგბურთო საზოგადოებრიობის გარეშე ტარდება. ამავე დროს 1985-1986 წლებში ჩოგბურთელთა გამოსვლების შედეგები საერთოდ არ განხილულა. ჩოგბურთის ფედერაცია თავის სხდომებზე არ ისმენს ნაკრები გუნდების მწვრთნელების ანგარიშებს, ხოლო მწვრთნელთა საბჭო ძირითადად იმ საკითხებითაა დაკავებული, რომლებიც შეჯიბრებაზე ამა თუ იმ ჩოგბურთელის მივლინებასთან არის დაკავშირებული.

თვით იდეა ვალდებულებათა ასეთი მრავალრიცხოვანი შეთავსებისა იქნებ კარგიც იყოს, მაგრამ, ალბათ, უფრო სახეშეცვლილ პირობებში. როგორც ჩანს, შექმნილი ვითარება მოითხოვს სპორტსახკომისა და ჩოგბურთის ფედერაციის მიერ საკითხის ერთობლივ განხილვას, რესპუბლიკაში ჩოგბურთის განვითარების მიზნით სრულყოფილი ორგანიზაციული სტრუქტურის მისაღწევად.

კონტროლი! ცუდადაა დაყენებული საჩოგბურთო სკოლებისა და სექციების მუშაობის კონტროლი. თუ გადავხედავთ 1988 წელს სკოლადამთავრებულ სპორტსმენთა სიებს, დავინახავთ, რომ შემდგომში მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ ნაკრებ გუნდში მოხვედრაზე. 1971 წელს დაბადებულთა შორის მხოლოდ ერთი ჩოგბურთელია, რომელიც შესაძლოა მოზრდილთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ჩაირიცხოს (გ. კუპრეიშვილი). უკეთესი ვითარება არც შემდგომ წლებში დაბადებულთა შორისაა, სადაც მომზადების დონე, სამწუხაროდ, ძალზე დაბალია.

კადრები! შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვკარგავთ ჩოგბურთის კადრებს, რადგან 80-იანი წლების დასაწყისის ნაკრების შემადგენლობიდან ვერც ერთი სპორტსმენი ვერ შევინარჩუნეთ. 1986 წლის ნაკრების წევრთაგან თამაში მიატოვეს ი. მალაციძემ, ი. გერაძემ, ი. მეტრეველმა, ვ. ხურდამ. ისინი სპორტიდან ისე წავიდნენ, რომ მათი ბედით არავინ დაინტერესებულა — არც სპორტსახკომი, არც ფედერაცია, არც მწვრთნელთა საბჭო, არც ნაკრები გუნდის ხელმძღვანელობა. ეს მაშინ, როცა ი. მალაციძე 23 წლისაა, ი. გერაძე — 19, ი. მეტრეველი — 21, ვ. ხურდა — 23 წლისა. წამყვანი სპორტსმენების დაკარგვა რესპუბლიკაში ჩოგბურთის დონის დაქვეითებას იწვევს. ამავე დროს უნდა ვიანგარიშოთ ის თანხაც, რომელიც მათს მოსამზადებლად დაიხარჯა.

გაისად განზრახულია ახალგაზრდული თამაშების ჩატარება, ხოლო 1991 წელს — სსრ კავშირის ხალხთა საზაფხულო სპარტაკიადისა. ამჟამად არსებობს სპორტსმენთა ჯგუფი, რომელსაც შეუძლია ღირსეულად დაიცვას ქართული ჩოგბურთის ტრადიციები. ამისათვის საჭიროა სერიოზული, მიზანდასახული, კომპლექსური მომზადება, სპორტსახკომისა და ჩოგბურთის ფედერაციის მიერ საჭირბოროტო საკითხების ერთდროული გადაჭრა. იმაზე, თუ როგორ გადაწყდება ეს საკითხები, ბევრად იქნება დამოკიდებული ქართული ჩოგბურთის მომავალი.

ცალკეულ და ღრმა განხილვას მოითხოვს, აგრეთვე, მწვრთენლთა კადრების, მასობრივი გამაჯანსაღებელი ჩოგბურთის, რესპუბლიკის რაიონებში ბაზების მდგომარეობისა და პრესაში ჩოგბურთის გაშუქების საკითხები. მაგრამ ყველაფერი ეს ცალკე საუბრის თემა გახლავთ.

**ვლადიმერ ბოგლიძე,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**

---

# გიწვევთ „მგლის მუხლი-88“

**როდესაც** რამდენიმე წლის წინ რბენის მოყვარულთა ჯგუფმა თბილისში პირველი კროსი — „მგლის მუხლი“ ჩაატარა, ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ იგი საერთაშორისო სტატუსს მიიღებდა. 16 ოქტომბერს, „მგლის მუხლის“ პრიზის მორიგ გათამაშებაზე 8 შვეიცარიელი მორბენალი ჩამოდის. ამ კროსით დაინტერესდნენ ამერიკელი რბენის მოყვარულნიც, მაგრამ მათ უფრო სამომავლოდ ელოდებიან თბილისში.

მაინც რით მიიზიდა ცხრამთასიქითელი რბენის მოყვარულნი ამ შეჯიბრებამ (სხვათა შორის, საასპარეზოდ ემზადება ჩვენი ქვეყნის ნაკრების რამდენიმე წევრიც)? ალბათ იმ ხალასმა ენთუზიაზმმა, სპორტის არჩეული სახეობის სიყვარულმა და ერთგულებამ, რომლის ყადრი თანაბრად კარგადაა ცნობილი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, კროსის თავდაპირველმა მოთავემ და უცვლელმა ორგანიზატორმა თენგიზ გელდიაშვილმა, თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად ასპარეზობა ნამდვილ ზეიმად აქცია და აშკარად დაჩრდილა „მშრალი“, ოფიციალური ტურნირები. დაესწარით და თვითონ ნახავთ, თუ რა ხალისია მუდამ ამ კროსის ჩატარებისას, მით უმეტეს, რომ კროსი „ღიაა“, ყველას შეუძლია მოსინჯოს ძალა.

ამჟამად კროსის მოთავეებს საიმედო მხარდამჭერი ჰყავთ საქართველოს სახაგრომრეწვის სახით, სადაც ისინი სპორტულ-გამაჯანსაღებელ კოოპერატივში („ჩოგანი“) არიან გაერთიანებული. „მგლის მუხლის“ გარბენში დაწესებულია საკმაოდ მნიშვნელოვანი, ჩვენი ოფიციალური შეჯიბრებისათვის უჩვეულო პრიზები (მარტო ფულადი პრემია შესაბამისად 300, 200 და 100 მანეთია). ასე რომ, მორბენლებს სხვა, დამატებითი სტიმულიც ექნებათ, რომლის საჭიროება ბოლო ხანს ოფიციალურადაც აღიარეს.



შეჯიბრების მონაწილეთა რეგისტრაცია დანიშნულია 16 ოქტომბერს 9,30 საათიდან თბილისში, გურამიშვილის ქუჩაზე (№13) მდებარე სპორტულ-გამაჯანსაღებელ კოოპერატივ „ჩოგანში“, ხოლო კროსი გაიმართება 11 საათზე კუს ტბის ირგვლივ. დისტანცია ყველასთვის საერთოა — 5725 მეტრი, ოღონდ მონაწილეები (პრიზიორები) ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაჯილდოვდებიან.

---

# დიდოსტატური შედეგით



**დინამოელ** მესტენდურეებს წამყვანი პოზიცია უჭირავთ ქვეყანაში და ამ საზოგადოების ჩემპიონატიც მაღალი რანგის შეჯიბრებად ითვლება; თუნდაც იმიტომ, რომ ცეცხლის ხაზზე ყოველთვის ათეულზე მეტი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გამოდის.

სწორედ ასეთ ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვება თბილისელმა მსროლელმა დავით ქვათაძემ ზუგდიდში გამართულ შეჯიბრებაზე (მრგვალ სტენდზე). მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც: განსაკუთრებით გვინდა მისი შედეგი აღვნიშნოთ — 223 ქულა 225 შესაძლებლიდან. ეს დიდოსტატური მიღწევაა, რადგან სეულის ოლიმპიადაზე გამარჯვებულს 222 ქულა „ეყო“ (თუმცა იქ ბრძოლის სიმწვავე, ცხადია, სულ სხვაგვარი იყო).

ასეა თუ ისე, ქვათაძის შედეგი აუცილებლად მიიპყრობს საკავშირო ნაკრების მწვრთნელების ყურადღებას. „ოღონდ ორიოდე კვირაში ფრუნზეში ჩატარდება საკავშირო პირველობა და არც იქ უნდა დავრჩე ჩრდილში, — გვითხრა თვითონ სპორტსმენმა გამარჯვების შემდეგ, — ისე კი, ნაკრების „სავიზიტო ბარათად“ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი — 222 ქულა ითვლება“.

დავით ქვათაძის გამარჯვება ახლა მეტად საჭირო იყო: ჩვენს მესტენდურეებს (თამაზ იმნაიშვილის გარდა) შედარებით წარუმატებელი სეზონი ჰქონდათ, მუდამ ერთი კაცის იმედზე ყოფნა კი, ფაქტიურად, ტრადიციის დაკარგვას ნიშნავს. ქვათაძე 27 წლისაა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბევრმა ცნობილმა მსროლელმა ამ ასაკში იწყო დიდ „ავანსცენაზე“ გამოსვლა, „დინამოს“ ახალ ჩემპიონსაც ყველაფერი წინ უნდა ჰქონდეს. მან ზუგდიდში ჯერ 74-74 ქულა მოაგროვა და მერე, დარჩენილი სამი სერია ფინალის ჩათვლით (75 გასროლა) ბრწყინვალედ — უშეცდომოდ ჩაატარა. ცნობილი მსროლელები, ქვეყნის ნაკრების წევრები ლინას მიშკინისი და ალექსეი ვეტოში საგრძნობლად ჩამორჩნენ ქართველ მესტენდურეს — ორივემ მხოლოდ 217-217 სამიზნე დააზიანა. დავით ქვათაძემ გია შენგელიასთან ერთად გუნდურ პირველობაშიც გაიმარჯვა.

ცალკე უნდა ითქვას საქართველოს დინამოელთა გუნდის შესახებ. ხშირად ისე ხდება, ამ სპორტსაზოგადოების საკავშირო ნაკრები მხოლოდ ქართველი მსროლელებით დგება (იმნაიშვილი, შენგელია, ქვათაძე) და ერთ სპორტსმენს თუ ამატებენ ხოლმე სხვა რესპუბლიკიდან. ამ სამეულისთვის არც ქვეყნის ჩემპიონობაა უცხო და არც დიდ საერთაშორისო ასპარეზობაში გამარჯვება. მაგალითად, სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა ტურნირში, რომელიც ბერლინში ჩატარდა, მათ „დუბლი გააკეთეს“, მოიგეს გუნდური პირველობა, ხოლო გია შენგელიამ — პირადი. საქართველოს დინამოელთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის სპორტსაზოგადოების უფროს მწვრთნელს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ზურაბ მაჩხანელს, რომელიც ქვათაძის პირადი მწვრთნელიც არის.

ზუგდიდში ადგილიდან სროლაში ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდული გუნდი (გიგა ქიშმარეიშვილი, ლაშა ასეიშვილი, ირაკლი ჯანჯღავა...) ასპარეზობდა, მართალია, მაღალ შედეგებს ვერ მიაღწიეს, მაგრამ უფროსი მწვრთნელის აზრით, მათთვის ახლა მთავარი ახალგაზრდული თამაშებისთვის მზადებაა, რომელიც მერმისს გაიმართება.

სურათზე: დავით ქვათაძე

# ოლიმპიური შემოდგომის თექვსმეტი გაელვება







**თექვსმეტი დღე გიზგიზებდა ოლიმპიური ცეცხლი სეულში. ოლიმპიური შემოდგომის თექვსმეტი გაელვების მოწმე გახდა ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები 4 მილიარდი ადამიანი. მაგრამ XXIV ოლიმპიადისადმი ინტერესი არ განელებულა, იგი კიდევ დიდხანს შეგვახსენებს თავს, როგორც იმის მკაფიო დასტური, თუ როგორ ისწრაფვიან მსოფლიოს ხალხები ერთიანობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ. დღეიდან „ლელო" გთავაზობთ რამდენიმე წერილს, სადაც სეულის ოლიმპიადისა და ამ თამაშებთან დაკავშირებული ამბები თუ საკითხები ჟურნალისტის თვალით არის დანახული და განხილული.**

**ჩვენი** საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ოლიმპიურმა მოძრაობამ, თამამად შეიძლება ითქვას, მწვერვალს მიაღწია. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო სეულში, სადაც 160 ქვეყნის სპორტსმენებმა იასპარეზეს. თამაშების პირველი რეკორდი სწორედ ეს გახლდათ. არადა, როგორ ელოდა ოლიმპიზმის ამ ერთიანობას მთელი ჩვენი პლანეტა. მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები სარბიელზე ერთმანეთს არ შეხვედრიან 12 წლიწადს, მას შემდეგ, რაც 1976 წელს მონრეალში ოლიმპიური ცეცხლი ჩაქრა. მონრეალიდან სეულამდე განვლილი წლებიდან განსაკუთრებით მძიმე იყო პირველი რვა — 1976-1984 წლები — სპორტული სამყარო თითქოს დაცარიელდა, თითქოს როგორღაც ინტერესი დაკარგა სხვა მასშტაბისა და მნიშვნელობის ყველა სპორტულმა პაექრობამ. ჯერ ხომ 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადას გამოუცხადეს ბოიკოტი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა პარტნიორებმა, მერე ოლიმპიური სამყაროს მეორე ნახევარმა თქვა უარი ლოს-ანჯელესის თამაშებში მონაწილეობაზე. თუმცა, ავის მომასწავებელი სიგნალი ჯერ კიდევ მონრეალის ოლიმპიადის წინ გაისმა, როცა თამაშებში გამოსვლა არ ისურვა რამდენიმე აფრიკულმა ქვეყანამ.

ბოლო ოთხ წლიწადში ძალიან ბევრი გაკეთდა, რათა კვლავ აღდგენილიყო ოლიმპიური მოძრაობის ერთიანობა. ამ საქმეს უდავოდ დიდი ძალა და ენერგია შეალია საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ-ი), პირადად მისმა პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა. ოლიმპიადისთვის განაცხადი არ წარუდგენიათ მხოლოდ ალბანეთს, ეთიოპიას, ნიკარაგუას და სეიშელის კუნძულებს, კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და კუბამ კი ოფიციალური უარი განაცხადეს თამაშებში მონაწილეობაზე.

ოლიმპიურ მოძრაობას საერთო არაფერი აქვს პოლიტიკასთან, მაგრამ თავის დროზე მას მაინც პოლიტიკურმა მოსაზრებებმა გათიშა. არც სეულის თამაშებისთვის იყო ერთიანობის გარანტია, მაგრამ მსოფლიოში, პირველ ყოვლისა კი ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა ძალზე ხელსაყრელი ატმოსფერო შექმნა საიმისოდ, რომ სოკ-ს სრულად აღედგინა და პრაქტიკულად განეხორციელებინა ოლიმპიზმის ჰუმანური იდეალები, ერთ ასპარეზობაზე კვლავ მოეყარა თავი სხვადასხვა ქვეყნის, ეროვნების, რწმენის ახალგაზრდობისთვის, კვლავ დაებრუნებინა ოლიმპიური მოძრაობისთვის ოდინდელი ავტორიტეტი, მეტიც, ახალ სიმაღლეზე აეყვანა იგი.

გაატარებს თუ არა სოკ-ი სანქციებს ჩრდილოეთ კორეისა და კუბის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მიმართ? სეულში ჟურნალისტების ამ შეკითხვაზე სამარანჩს გადაჭრით არაფერი უთქვამს, მაგრამ პრეზიდენტს იქვე შეახსენეს, რომ, თუკი სოკ-ი თავს იკავებდა სასჯელისაგან მაშინ, როცა ბანაკებად შეერთებულმა ათეულობით ქვეყანამ უარი თქვა მოსკოვსა და ლოს-ანჯელესში გამოსვლაზე, ამ შემთხვევაშიც ეს ორი ქვეყანა მან „დაბალ ღობედ" არ უნდა მიიჩნიოს.

**ისევ** სეულის თამაშებს დავუბრუნდეთ. ალბათ გვახსოვს; თავის დროზე როგორი გაოცება გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ XXIV ოლიმპიური თამაშები გაიმართებოდა სამხრეთ კორეის დედაქალაქში. სამხრეთ კორეას ხომ დღემდე არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა მსოფლიოს 40 ქვეყანასთან, მათ შორის სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებთან. და მაინც, ამ 40-დან 36 ქვეყანამ გამოგზავნა სეულში სპორტული დელეგაცია, ასე რომ, ოლიმპიადის მონაწილე თითქმის ყოველ მეოთხე ქვეყანას არ ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა თამაშების მასპინძელ სახელმწიფოსთან. ესეც ოლიმპიზმის სულისკვეთების გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

1981 წელს ბადენ-ბადენში სოკ-ის სესიაზე ამ ორგანიზაციის წევრი 81 ქვეყნიდან 52-მა დაუჭირა მხარი სეულის კანდიდატურას. ეს უკვე ბევრს ნიშნავდა და მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქის შესახებ თვით ყოველგვარ ეჭვს აყენებდა ეჭვს ქვეშ. სეულმა გაიმარჯვა ისეთ მაღალგანვითარებული ქვეყნის ქალაქთან ჭიდილში, როგორიცაა ნაგოია (იაპონია), თეირანმა კი სოკ-ის სესიამდე მოხსნა თავისი კანდიდატურა.

მონაწილე ქვეყნების რაოდენობით არასრულფასოვანი გამოდგა მოსკოვისა და ლოს-ანჯელესის ოლიმპიადები და... ახლა — სამხრეთ კორეა, რომლის სახელმწიფოებრივ სტატუსს ბევრი ქვეყანა არც კი აღიარებს. თავად განსაჯეთ, მაშინ, როცა საბოლოოდ გადაწყდა სეულის საკითხი, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ყველაფერი განგებ კეთდებოდა, რათა საბოლოოდ გათიშულიყო ოლიმპიური ოჯახი, საფრთხის წინაშე დგებოდა კიდევ ერთი ოლიმპიადა. მაგრამ, თურმე ასე ფიქრობდა ის, ვისაც ან სრულებით არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდა ამ ქვეყნის შესახებ, ან დამახინჯებულ ცნობებს ეყრდნობოდა. სხვათა შორის, უკვე წლეულს საკავშირო პრესამაც აღიარა ეს.

პირდაპირ ვთქვათ, სამხრეთ კორეა და სეული ჩვენთვისაც და კიდევ ბევრისთვისაც ნამდვილი აღმოჩენა იყო და ამას, ცხადია, მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებს უნდა ვუმადლოდეთ. თუ არა სეულის ოლიმპიადა, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდა აზიის კონტინენტის ეს მართლაც მრავალმხრივ საინტერესო მხარე „უცნობი".

დიახ, ოლიმპიადა ჩატარდა ორად გაყოფილი ქვეყნის ერთ ნაწილში (ცდა, რომ თამაშების პროგრამის ნაწილისთვის ჩრდილოეთ კორეას ემასპინძლა, უშედეგოდ დამთავრდა). თამაშებზე 1500-მდე საბჭოთა მოქალაქე ჩავიდა, აქედან — 520 სპორტსმენი, 122 მწვრთნელი, 172 დამხმარე პერსონალი, 85 მსაჯი, 300 ტურისტი და 80 ჟურნალისტი. დანარჩენები იყვნენ ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლები, რომლებიც ოლიმპიადის კულტურულ პროგრამაში მონაწილეობდნენ. რაკი საბჭოთა ქვეყანას სამხრეთ კორეასთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს, შუამავლობა ფინეთის საელჩომ იკისრა. მაგრამ ოლიმპიადის დღეებში სეულში მაინც მოქმედებდა დროებითი საბჭოთა „საელჩო", რომელსაც სათავეში ედგა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ლეონიდ ასანკინი.

**ახლა** შევეცდებით რამდენადმე მაინც შევუქმნათ მკითხველს წარმოდგენა XXIV ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქვეყანაზე, მის ხალხზე და თვით სეულზე.

ჟურნალისტებს, რომლებიც მოსკოვიდან გავფრინდით და ჩვენთვის უცხო ქვეყანაში საჰაერო ჰიშკრით შევედით, პირველი შთაბეჭდილება შეგვიქმნა რელიეფმა, სიმაღლიდან შესანიშნავად რომ მოჩანდა იმ უღრუბლო დღეს. ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ქვეყნის 80



ოლიმპიური პარკის შესასვლელთან.

პროცენტი მთაგორიანია (სულ ტერიტორია 99,1 ათასი კვადრატული კილომეტრია), მაგრამ უნდა გენახათ, როგორ არის გამოყენებული დაბლობი, როგორ არის მოვლილი და გულიანი მეურნის ხელით გამშვენიერებული, რა ბარაქიანია სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები. ამაში მერე დავრწმუნდით, როცა საკუთარი თვალით ვნახეთ ყველაფერი. ჟურნალისტები, ტურისტები, ოფიციალური სტუმრები საგანგებოდ დადიოდნენ ბაზრებში, რათა სრულად მოწეული პროდუქციის სიუხვესა და ხარისხში დარწმუნებულიყვნენ. მრეწველობის განვითარების დონეზე კი, ვფიქრობთ, ყველაზე მკაფიოდ მეტყველებს ასეთი სტატისტიკა: სამხრეთ კორეა ეკონომიკური მაჩვენებლებით მსოფლიოს ყველაზე განვითარებული სამრეწველო ქვეყნების ოცეულშია. ეს ქვეყანა წელიწადში 970 ათას ავტომობილს უშვებს, ფოლადის წარმოებით იგი მეთოთხმეტე ადგილზეა, ელექტრომრეწველობაში — მეათეზე, ტელევიზორების გამოშვებაში — მეოთხეზე, გემთმშენებლობაში — მეორეზე. ასევე მოწინავეა სხვა დარგებში. ეკონომიკური ზრდის ტემპი 12 პროცენტია. თუმცა, ამ ქვეყანას ვალებითაც თვალსაჩინო ადგილი უკავია — მეოთხეა მსოფლიოში.

დაწყებული სიგარეტიდან, დამთავრებული ავტომანქანებით კორეაში ყველაფერს საკუთარი წარმოებისას სცემენ პატივს. მაგრამ ეს არ ხდება მხოლოდ ეროვნული სიამაყის გამო, — ყველაფერი მართლაც ჩინებულია და ხარისხიანი. კორეულ ნაწარმზე დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიო ბაზარზე, მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ელექტროტექნიკა, ქსოვილები და მისი მზა პროდუქცია სპორტული ნაწარმის ჩათვლით, საზღვაოსნო გემები და ა. შ. საექსპორტო საქონლის სიუხვე თავისთავად აყენებს ბაზრის გაფართოების საკითხს. ამიტომ მასპინძლები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ამ მიზნის მისაღწევად ოლიმპიური თამაშების დიდი შესაძლებლობებიც გამოეყენებინათ. ოლიმპიადის დღეებში ჟურნალგაზეთების ფურცლებზე მთავარი სპორტული ბატალიებიც კი ოდნავ დაჩრდილა ცნობამ უნგრეთ—კორეის მოლაპარაკების შესახებ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარების მიზნით.

ყველაზე მეტად მაინც ხალხმა გაგვაოცა. საქმე მარტო ის როდია, რომ კორეელები განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან და მოზრდილები ყოველდღიურად 9, ხოლო კვირაში 54 საათს მუშაობენ, თანაც 42-მილიონიან ქვეყანაში 13 წლამდე ასაკის ბავშვებსაც კი მთავრობა კანონით აძლევს მუშაობის უფლებას. უფრო საყურადღებოა ხალხის სითბო და სტუმართმოყვარეობა. თავდაპირველად იმასაც კი ვფიქრობდით, რომ ეს ადამიანები საგანგებოდ იყვნენ შერჩეული და მათ სამსახურებრივი მდგომარეობა ავალდებულებდა მომეტებულ გულისხმიერებას სტუმრებისადმი. კიდევ მეტი პატივისცემა, თუ გნებავთ, განსაკუთრებული წადილი იმისა, რომ სტუმრებისათვის როგორმე ესიამოვნებინათ, დავინახეთ ქუჩებში და პროსპექტებზე, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, ერთი სიტყვით, ოლიმპიადისაგან შორს.

უბრალო ხალხმა ბევრი არაფერი იცის საბჭოთა კავშირის ცალკეული ერების შესახებ, მაგრამ საკმარისი იყო გაეგოთ, რომ მათ წინ საბჭოთა ადამიანი იდგა, სითბო და ცნობისმოყვარეობა ათმაგდებოდა. ბევრი ჩვენს საკრედიტაციო ბარათზე, რომელსაც სურათით, როგორც წესი, მკერდზე დაკიდებულს ვატარებდით, საგანგებოდ ამოიკითხავდა ხოლმე ქვეყნის დასახელებას, რათა დარწმუნებულიყო, მართლა საბჭოთა კავშირიდან ვიყავით თუ არა. რამ განაპირობა საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებისადმი ასეთი ინტერესი? არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ ჩვენ მაინც ვთვლიდით, რომ აქ მთავარი როლი საბჭოთა სახელმწიფოს ბოლოდროინდელმა საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკამ შეასრულა, ამას დაუმატეთ ადვილად ახსნელი წმინდა ადამიანური ცნობისმოყვარეობა — სამხრეთ კორეაში აღიზარდა მთელი თაობა, რომელსაც ასე ახლოს არ უნახავს საბჭოთა ადამიანი, თავიანთ დედაქალაქში არ უნახავთ საბჭოთა დიპლომატებიც კი. სხვა მხრივ ვერაფრით ვერ აგვიხსნია თუნდაც ის, რომ ოლიმპიადის დღეებში ყველაზე ძვირფასი სუვენირი სეულში, ამ 10-მილიონიან ქალაქში, იყო საბჭოთა სამკერდე ნიშნები. მხოლოდ სპორტული ნიშნები არ გვაქვს მხედველობაში. ადგილობრივ მოსახლეობას გაცილებით მეტად აინტერესებდა წითელი სამკერდე ნიშნები ნამგლით და უროთი, XIX საკავშირო პარტკონფერენციისა და სხვა წარწერებით.

„საუკეთესო ქვეყანა, საუკეთესო თამაშები, საუკეთესო ხალხი" — ეს იყო სამხრეთ კორეაში ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების დევიზი. ამ მოწოდებამ, რომელიც თამაშების დაწყებამდე თურმე ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ერთ-ერთი მთავარი თემა ყოფილა, მაორგანიზებელი როლი შეასრულა. თავდაპირველად შეიძლება ეს დევიზი უცხოსთვის პრეტენზიულად ჟღერდა, მაგრამ ჩვენს მასპინძლებს სიტყვა არ გაუტეხიათ. ალბათ უპრიანია სწორედ აქვე გავიხსენოთ სამარანჩის სიტყვები, რომ სეულში ოლიმპიური თამაშები ჩატარდა შეუდარებლად მაღალ დონეზე და ამაში დიდი როლი სწორედ ოლიმპიადის მასპინძლებმა შეასრულეს.

**ქვეყნის** სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე სპორტულ მიღწევებშიც აისახება, ეს აქსიომაა. რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მაღალი სპორტული ჯილდოების მოსაპოვებლად იბრძვიან მისი ათლეტები. სამხრეთი კორეა სპორტული ქვეყანაც გახლავთ. მოკლედ ვიტყვით და გასაგები გახდება — შარშან სეულში გამართულ აზიურ თამაშებში მასპინძლებმა მეორე ადგილი დაიკავეს ჩინეთის შემდეგ. თქმა არ უნდა, შინ ჩატარებულ ოლიმპიურ ასპარეზობაში ამ ქვეყნის სპორტსმენები მხოლოდ მაღალ შედეგებს გეგმავდნენ. ჯერ კიდევ შარშან გახდა ცნობილი, რომ თამაშებში გამარჯვებული კორეელი მიიღებდა ერთდროულ ჯილდოდ ასი ათას დოლარს და მუდმივ პენსიას თვეში 830 დოლარის რაოდენობით. თუმცა, მატერიალური წახალისება არც სხვებს აკლდათ, მათ შორის საბჭოთა სპორტსმენებსაც, მაგრამ მასპინძლები მაინც განსაკუთრებული თავგამოდებით იბრძოდნენ თუნდაც იმიტომ, რომ. თამაშების მასპინძლები იყვნენ. სამწუხაროდ, ზოგიერთის ზედმეტმა მონდომებამ, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვყავს მენეჯერები, ობიექტურობის გრძნობა დააკარგვინა მსაჯებს. მაგრამ ამაზე სხვა წერილში ვისაუბრებთ.

...მოსკოვიდან ილ-62-მა კურსი ხაბაროვსკისკენ აიღო. ერთხანს გვეგონა კიდევ ველოდებოდით მგზავრებს, მაგრამ თითქმის ცარიელი თვითმფრინავი ჰაერში აიჭრა — ოცი ჟურნალისტი, ტანმოვარჯიშეები მარინა ლობაჩი და ალექსანდრა ტიმოშენკო, კიდევ სამი მწვრთნელი — ეს იყო და ეს. მოსკოვში, აეროპორტის მოსაცდელში კი ვინ იცის, რამდენი მგზავრი ელოდა ციმბირში გაფრენის რიგს... ჯერ ხაბაროვსკში, შემდეგ ვლადივოსტოკში შემოგვემატნენ მგზავრები და მთლიანად შეივსო ჩვენი ლაინერის სალონები. შემოგვემატნენ სპორტსმენები და მწვრთნელები, ის სპორტსმენები, რომლებიც უახლოეს კვირაში იწყებდნენ ასპარეზობას. საბჭოთა ოლიმპიელები აკლიმატიზაციას ციმბირის ამ ქალაქებში გადიოდნენ და სეულში მხოლოდ ასპარეზობამდე 7-8 დღით ადრე გადაჰყავდათ. ჩვენთან ერთად იმგზავრეს ამირან ტოტიკაშვილმა, ხრისტინა ფალასანიდიმ და მაია აზარაშვილმა. ტოტიკაშვილს თვითმფრინავში ვკითხე ჩვენი მეორე ძიუდოისტის გიორგი თენაძის ამბავი. მე გიორგიზე ორი დღით ადრე ვიწყებ ჭიდაობასო, მიპასუხა. ესე იგი, ჩვენი მეორე ძიუდოისტი შესაბამისად ორი დღის შემდეგ გაფრინდებოდა ვლადივოსტოკიდან. სულ საქართველოს 16 წარმომადგენელს ელოდა სეულის ოლიმპიური ასპარეზობა. გაივლის 16 ოლიმპიური დღე და საქართველოს წარგზავნილები შინ ხუთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდებიან. თუმცა, სპორტული უიღბლობა რომ არა, მეტის მიღწევაც შეიძლებოდა. მაგრამ ჩვენ ახლა მაინც საბოლოო შედეგებზე ვსაუბრობთ. ყოველ მედალს, ყოველდღიურ ასპარეზობას თან ახლდა ხილული თუ უხილავი მღელვარება, ფიზიკური და სულიერი ძალების ჭიდილი, თამაშებში ხომ 160 ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

**თენგიზ ბაჯელიძე,**
**„ლელოს" სპეც. კორესპონდენტი.**
**სეული — თბილისი.**

**გაგრძელება იქნება.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გთავაზობთ სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 25-ე ტურის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს:

**„დინამო“ (კიევი) — „დნეპრი“ 2:0 (1:0).** გოლები: რაცი, მიხაილიჩენკო.
გააფრთხილეს კიეველი ფეხბურთელი კუზნეცოვი.
დუბლიორები — 0:2.

**„ტორპედო“ — „სპარტაკი“ 2:0 (1:0).** ორივე ბურთი ი. სავიჩევმა გაიტანა.
დუბლიორები — 1:1.

**„ზენიტი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:1 (0:1).** გოლი: კოლივანოვი.
გააფრთხილეს დინამოელი მოროზოვი.
დუბლიორები — 1:1.

**„ჟალგირისი“ — „არარატი“ 1:0 (1:0).** გოლი: ივანაუსკასი.
გააფრთხილეს ერევნელი ვ. ხაჩატრიანი.
დუბლიორები — 1:0.

**„კაირატი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1 (1:1).** გოლები: ფეხლევანიდი („კაირატი“), შჩერბაკოვი („ჩერნომორეცი“).
დუბლიორები — 3:1.

**„ნეფთჩი“ — „ლოკომოტივი“ 1:1 (0:1).** გოლები: ილიალეტდინოვი („ლოკომოტივი“), პონომარიოვი („ნეფთჩი“).
დუბლიორთა მატჩი არ შედგა.

**„მეტალისტი“ — „შახტიორი“ 1:2 (0:0).** გოლები: სმოლიანინოვი, კობზევი („შახტიორი“), რალიუჩენკო („მეტალისტი“).
გააფრთხილეს ლეონოვი („შახტიორი“), კოლოკოლოვი („მეტალისტი“).
დუბლიორები — 2:4.

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ მ. | 23 | 14 | 6 | 3 | 35-14 | 34 |
| „სპარტაკი“ | 25 | 13 | 8 | 4 | 50-31 | 34 |
| „დინ.“ კ. | 24 | 13 | 5 | 6 | 34-25 | 31 |
| „დნეპრი“ | 25 | 12 | 5 | 8 | 35-30 | 29 |
| „ჟალგირისი“ | 25 | 10 | 9 | 6 | 35-19 | 29 |
| „ტორპედო“ | 24 | 12 | 4 | 8 | 34-29 | 28 |
| „დინ.“ თბ. | 25 | 8 | 10 | 7 | 30-32 | 26 |
| „ჩერნომორ.“ | 25 | 9 | 6 | 10 | 28-31 | 24 |
| „ზენიტი“ | 25 | 9 | 5 | 11 | 26-35 | 23 |
| „ლოკომოტ.“ | 21 | 8 | 6 | 7 | 27-22 | 22 |
| „მეტალის.“ | 25 | 7 | 7 | 11 | 34-34 | 21 |
| „შახტიორი“ | 25 | 7 | 5 | 13 | 34-46 | 19 |
| „არარატი“ | 21 | 7 | 4 | 10 | 29-34 | 18 |
| „დინ.“ მნ. | 25 | 6 | 5 | 14 | 28-41 | 17 |
| „კაირატი“ | 25 | 5 | 5 | 15 | 24-45 | 15 |
| „ნეფთჩი“ | 21 | 3 | 8 | 10 | 12-27 | 14 |

## პატივი მივაგოთ

**გაზეთ** „სოვეტსკი სპორტის“ 13 ოქტომბრის ნომერში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ო. კუჩერენკოს წერილმა „გულგრილობა“.

ავტორი აღნიშნავს, რომ სეულის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ყოველი თამაშის წინ საზეიმოდ აღნიშნეს ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მოთამაშეთა წარმატება (დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს).

ოლიმპიადის შემდეგ განახლდა საკავშირო ჩემპიონატიც. მაგრამ გაკვირვება გამოიწვია, როცა მოსკოვის „ტორპედოსა“ და „სპარტაკის“, კიევის „დინამოსა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ შეხვედრათა წინ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ჩვენს ფეხბურთელებზე, რომლებმაც სეულში ოქროს მედლები მოიპოვეს. მინდორზე კი იყვნენ ი. სავიჩევი, ე. კუზნეცოვი, ა. მიხაილიჩენკო, ა. ჩერედნიკი, ვ. ლიუტი...

22 ოქტომბერს ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარული მატჩი შედგება თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის. ჩვენი აზრით, საჭიროა პატივი მივაგოთ თბილისის „დინამოს“ წევრის, ოლიმპიური ჩემპიონის, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გ. კეტაშვილის წარმატებას.

# ჭაბუკ ფეხბურთელთა დიდი წარმატება

(დასასრული)

ქულას კოლექტივისთვის დადებითად უნდა ემოქმედნა. პირიქით კი მოხდა, ბიჭებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს, რაშიც მარტო მათ ვერ დავადანაშაულებთ — ეტყობა, ჩვენც, მწვრთნელებიც ასევე განვეწყეთ, ჩემს გარდა გუნდს ოთარ შენგელიაც ავარჯიშებს. ეს მოდუნება კინაღამ ოქროს ფასად დაგვიჯდა. ფრედ — 2:2 ვითამაშეთ ბაქოს „ნეფთჩისთან“ (ბურთები ყაველაშვილმა და კერძევაძემ გაიტანეს) და შემდეგ ყველაზე სუსტ მეტოქესთან მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდთან დავმარცხდით 2:4 (ჩვენი ორივე ბურთი ყაველაშვილმა გაიტანა). ჩვენ და კიევის დინამოელებმა, რომლებთანაც ბოლო შეხვედრა გვქონდა დარჩენილი, 5-5 ქულა დავაგროვეთ და უკანასკნელი მატჩი გადამწყვეტი აღმოჩნდა. გამარჯვებული გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ხდებოდა.

კიევის „დინამო“ ძალზე ძლიერი გუნდია, კოლექტივის თითქმის ყველა წევრი უკვე ორი წელია დუბლიორთა შემადგენლობის ღირსებას იცავს, მას არც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები აკლდა. აი, ასეთ მეტოქესთან უნდა გაერკვიათ ურთიერთობა ჩვენს ფეხბურთელებს.

— ჩემთვის ძნელია ყოველივეს გადმოცემა, რაც ბოლო მატჩის წინ ხდებოდა გუნდში. გაიზარდა თითოეული მოთამაშის პასუხისმგებლობა, მობილიზების გრძნობა. გადავწყვიტეთ ბედი მეტოქის ნახევარზე გვეძებნა. არჩეულმა გზამ გაამართლა. ჩვენი სწრაფი თავდამსხმელები ხშირად აყენებდნენ დინამოელთა დაცვას კრიტიკულ სიტუაციაში. ოცდამეათე წუთზე როინ კერძევაძის გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში. გავიმარჯვეთ მეტად დაძაბულ ორთაბრძოლაში. მეორე ადგილი 5 ქულით კიეველმა ფეხბურთელებმა დაიკავეს, ხოლო მესამე, ასევე 5 ქულით, ბაქოს „ნეფთჩის“ ხვდა წილად.

● **ზემოთ ახსენეთ, რომ კიეველ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი ოსტატთა გუნდში თამაშობს, მაგრამ რამდენიმე თქვენი ფეხბურთელიც ხომ თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა შემადგენლობაში გამოდის, დანარჩენი კი II ლიგის გუნდის თბილისის „ლოკომოტივ“-ომც-ს ღირსებას იცავს. შეგიწყოთ თუ არა ხელი გუნდის მომზადებაში იმან, რომ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი მეორე ლიგის გუნდშია დაკავებული?**

— ამ შეკითხვაზე ნაწილობრივ თქვენვე გაეცით პასუხი, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, თუ რაოდენ აუცილებელია თბილისში ასეთი გუნდის არსებობა. ღრმად ვარ დარწმუნებული — ჩვენს ფეხბურთელებს მეორე ლიგაში რომ არ მიეღოთ ნათლობა, ამ წარმატებას ვერ მივაღწევდით, გამარჯვებული გუნდის უმეტესობა წლევანდელი გათამაშების პირველივე ტურიდან „ლოკომოტივ“-ომც-ს ღირსებას იცავს.

● **დავუბრუნდეთ პირველობას. გამარჯვებული გუნდიდან საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებულ პრიზებს ჩემპიონთა გუნდის რამდენიმე ფეხბურთელიც მიიღებდა. რა პრიზები ჩამოიტანეს დედაქალაქში ჩვენმა მოთამაშეებმა?**

— ჭაბუკთა ამ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ პირველობაში საუკეთესო მოთამაშეების პრიზები არ იყო დაწესებული, ბოლო შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჩვენს ბიჭებს ოქროს მედლები გადასცეს და პირველობაც ამით დასრულდა. არავითარი მილოცვა, არავითარი დაჯილდოება არ ყოფილა, ბიჭები გაოცებულნი შეჰყურებდნენ შეჯიბრების მთავარ მსაჯს ლუკიანოვს...

● **ალბათ, ძნელია გამარჯვებული გუნდიდან რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა, მაგრამ არ შეიძლება ასეთ პრინციპულ შეხვედრებში ყველას თანაბრად ეთამაშა.**

— გამარჯვებაში ყველას მიუძღვის წვლილი. დაწყებული ზონალური ტურნირიდან ფინალურ მატჩებამდე. ჩვენს ყველას მადლობელი გახლავთ. ... ჩვენი აზრით, შესანიშნავად ითამაშეს მიხეილ ყაველაშვილმა, როინ კერძევაძემ და გიორგი გულიაშვილმა. აქვე მსურს ფინალში მონაწილე ჩემპიონთა ვინაობა გავაცნო მკითხველს: **გურამ ლორთქიფანიძე, შალვა ბურჯულაძე, მიხეილ ჩუბინიძე, კახა წიკლაური, კოტე მელიქიძე, მამუკა მელიწკაური, გიორგი გულიაშვილი, ზაალ ქოჩლაძე, გოჩა ჯამარაული, პაატა ჯიმშიტაშვილი, როინ კერძევაძე, მიხეილ ყაველაშვილი, იოველ კუხიანიძე, ვასილ მაისურაძე, გოდერძი ნატროშვილი, გოჩა გიორგაძე, დათო ნეფარიძე** ფეხბურთელებმა სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი შეასრულეს.

ზაზა კახაძე.

* * *

**რედაქციისაგან: ფეხბურთის მოყვარულთა სახელით ვულოცავთ თბილისის 35-ე სკოლის გუნდს ამ თვალსაჩინო წარმატებას. ვულოცავთ ნორჩ ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, სკოლის დირექტორს — ანდრო თურქიას და მთელ კოლექტივს დიდ გამარჯვებას. იმედია, კვლავაც ახალ-ახალი წარმატებების ამბებს შევიტყობთ ქართული საფეხბურთო სკოლის ამ მნიშვნელოვანი კერიდან.**

ფეხბურთი

# მსოფლიო ჩემპიონატი-90

**მსოფლიოს** საფეხბურთო ჩემპიონატის ევროპის ზონის III ჯგუფში (აქ გამოდიან სსრ კავშირის, გდრ-ის, ავსტრიის, თურქეთისა და ისლანდიის გუნდები) თურქმა ფეხბურთელებმა სტამბოლში მიიღეს ისლანდიის ნაკრები.

პირველი გოლი 62-ე წუთზე გაიტანა ისლანდიელმა ფეხბურთელმა ტორტასონმა. მასპინძლებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ 73-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს (უნალი)— 1:1.

შესარჩევ ჯგუფში ჯერჯერობით წინ ისლანდიის ნაკრებია, რომელსაც 2 მატჩში 2 ქულა აქვს. სსრ კავშირისა და თურქეთის გუნდებს თითო მატჩში თითო ქულა აქვთ აღებული. შეჯიბრებაში ჯერ არ ჩაბმულან გდრ-ისა და ავსტრიის ფეხბურთელები.

საბჭოთა ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 19 ოქტომბერს ექნება შინ, მისი მეტოქეა ავსტრიის გუნდი. ამავე დღეს ერთმანეთს შეხვდებიან, აგრეთვე, გდრ-ისა და ისლანდიის ფეხბურთელები.

# ევროპის საკლუბო ტურნირებზე

გაიმართა უეფა-ს თასის I ტურის ბოლო საპასუხო შეხვედრები.

იტალიის „იუვენტუსის“ ფეხბურთელებს პირველი მატჩი რუმინეთის „ოცელულთან“ წაგებული ჰქონდათ ანგარიშით 0:1. საპასუხო შეხვედრაში „იუვენტუსმა“ მეტოქე დიდი ანგარიშით 5:0 დაამარცხა და გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდა.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „კიოლნი“ (გფრ) — „ანტვერპენი“ (ბელგია) 2:1 (4:2), „ბელენენსეში“ (პორტუგალია) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი, გფრ) 1:0 (1:0), „სლავია“ (ბულგარეთი) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია) 0:5 (0:5), „ნიურნბერგი“ (გფრ) — „რომა“ (იტალია) 1:3 (2:1). II ტურში გავიდნენ „კიოლნი“, „ბელენენსეში“, „პარტიზანი“. და „რომა“.

# ფრანგ იუნიორთა წარმატება

**12 ოქტომბერს** საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონში შედგა 21 წლის ასაკამდე ახალგაზრდა ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის საპასუხო ფინალური მატჩი ამ ქვეყნისა და საბერძნეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

პირველი თამაში 24 მაისს შედგა ათენში და ფრედ დამთავრდა (0:0), საპასუხო შეხვედრაში კი ფრანგებს სრული უპირატესობა ჰქონდათ, მათ დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს 3:0 (1:0).

გადამწყვეტი მატჩის საუკეთესო მოთამაშემ საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა ფრანკ სოზიმ მე-8 წუთზე გახსნა ანგარიში, 53-ე წუთზე კი მეორე გოლიც გაიტანა. თამაშის დასასრულს ფრანგების სტოპერმა ფრანკ სილვესტერმა მესამედ აიძულა ბერძნები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

ბერძენმა ფეხბურთელებმა ამ მატჩში მხოლოდ უხეშობით გამოიჩინეს თავი. მათ ორი ყვითელი ბარათი დაიმსახურეს და, გარდა ამისა, 3 ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევეს. მათ შორის არის მეკარე მოლაკიდისიც.

ევროპის ჩემპიონატი 21 წლის ასაკამდე ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის პირველად 1972 წელს გაიმართა, მაშინ გამარჯვება წილად ხვდათ ჩეხოსლოვაკიელ ფეხბურთელებს. 1974 წელს ჩემპიონობა უნგრელებმა მოიპოვეს, 1976 წელს— საბჭოთა ფეხბურთელებმა, 1978 წელს — იუგოსლავიელებმა, 1980 წელს — კვლავ საბჭოთა ფეხბურთელებმა, 1982 და 1984 წლებში — ინგლისელებმა, ხოლო 1986 წელს — ესპანელებმა.

# პირველი მატჩები

**გაიმართა** კალათბურთელთა ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი შეხვედრები.

**ჩემპიონთა თასი (ვაჟები).** „ნაშუა დენ ბოში“ (ჰოლანდია) — „ასკერ“ (ნორვეგია) 103:81, „კოტკა“ (ფინეთი) — „ჩემპელი“ (შვეიცარია) 101:66, „სანეირ ოსტენდი“ (ბელგია) — ბმს (დანია) 97:86, ად (პორტუგალია) — აბ (ლუქსემბურგი) 113:64, „კლოსტენეიბურგი“ (ავსტრია) — „ბალკანი“ (ბულგარეთი) 83:82.

**ქალები.** „ვისოკი შკოლი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ავონ“ (ინგლისი) 99:42, „კაიკსა ტარაგონა“ (ესპანეთი) — დბბ (ავსტრია) 87:79, „ჰოიდენ ჰელდე“ (ჰოლანდია) — „აგონ-08“ (გფრ) 81:75, „ჰოიბრატენი“ (ნორვეგია) — „სოლნა იფ“ (შვეცია) 72:82, „ინტერ დე ფუტბოლ“ (პორტუგალია) — „ბაკ მირანდე“ (საფრანგეთი) 50:83, „სპორტინგი“ (ლუქსემბურგი) — „ბერსფელდენი“ (შვეიცარია) 48:61.

**კორაჩის თასი.** „პანათინაიკოსი“ (ათენი) — „ჰაპოელი“ (ისრაელი) 85:64, „ვისოკი შკოლი“ (პრაგა) — „ალექსონსი“ (იტალია) 79:93.

**ლილიან რონკეტის თასი.** „ვოინტა“ (ბუქარესტი) — „კრემიკოვტი“ (სოფია) 58:58.

# ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე

**ალმა-ათაში** გრძელდება სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 48-ე ჩემპიონატი. მეექვსე ტურში ნოვოსიბირსკელმა მოჭადრაკემ იულია დიომინამ შავი ფიგურებით დაამარცხა თანამემამულე სვეტლანა პრუდნიკოვა და სათავეში მოექცა სატურნირო ცხრილს. ყაიმით დამთავრდა ფლორა უსკოვასა (ალმა-ათა) და ქეთევან კახიანის პარტია. ნინო მელაშვილი შავი ფიგურებით დამარცხდა ელმირა სახატოვასთან (ალმა-ათა) შეხვედრაში. გადაიდო გურიელი-კულიკოვას პარტია. ალექსანდრია-სოფიევას შეხვედრა კი გადატანილია. ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ეიდელსონი-ლელჩუკი — 0:1, მატვეევა-შერემეტიევა — 1:0, ჩელუშკინა-კოგანი — 0,5:0,5, ხოროვეცი-გ. სახატოვა — 0,5:0,5.

6 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: იულია დიომინა (ნოვოსიბირსკი) — 5,5 ქულა, ლიუდმილა კულიკოვა (ერევანი) — 4,5 (1), სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე), ირინა ჩელუშკინა (ლვოვი) — 4-4.

### ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები

**რეიკიავიკში** გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა „მსოფლიო თასის“ გათამაშების მესამე ეტაპი.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: მიხეილ ტალი — 6 ქულა, ალექსანდრე ბელიავსკი, ანდრეი სოკოლოვი, იან ელვესტი — 5,5-5,5, არტურ იუსუპოვი, იან ტიმანი (ჰოლანდია) — 5-5 (1-1), გარი კასპაროვი, დიულა საქსი (უნგრეთი), ჯონ ნანი (ინგლისი) — 5-5.

### „სპორტპროგნოზი“

**ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირებში მონაწილე გუნდების თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები.**

**(5-12 ოქტომბერი)**

1—X, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—1, 10—X, 11—2, 12—2, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

# ჩოგბურთის ამბები

**პარიზი.** გაიმართა დევისის თასის გათამაშების კენჭისყრა. საბჭოთა სპორტსმენები პირველ წრეში გასვლით შეხვედრას ჩაატარებენ ჩეხოსლოვაკიელებთან. — თამაშები გაიმართება 1989 წლის 3-5 თებერვალს.

უძლიერესთა ტურნირის დანარჩენი მონაწილენი ასე დაწყვილდნენ: შვეცია — იტალია, ავსტრია — ავსტრალია, იუგოსლავია — დანია, ესპანეთი — მექსიკა, აშშ — პარაგვაი, ისრაელი — საფრანგეთი, გფრ — ინდონეზია.

**ტულუზა.** აქ დაიწყო ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ანდრეი ჩესნოკოვი (ბოლო კლასიფიკაციით მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა სიაში იგი მერვე ადგილზეა) მეოთხე ნომრადაა განთესილი, ფავორიტებად კი ფრანგი ანრი ლეკონტი და ამერიკელი ჯიმი კონორსი ითვლებიან.

პირველ წრეში ჩესნოკოვმა ჩეხოსლოვაკიელ მარიან ვაიდას აჯობა — 6:4, 6:3, მერე საბჭოთა ჩოგბურთელი ანდრის ვისანდი კი მილან შრეიბერთან (ჩეხოსლოვაკია) დამარცხდა.

ჩესნოკოვმა წარმატებით იასპარეზა მომდევნო წრეშიც — ორი პარტია მოუგო შვედ ნიკლას კრონს — 6:2, 6:2.

**ფილდერშტადი.** ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი აქ მიმდინარე საერთაშორისო ქალთა ტურნირში. პირველივე წრე მოულოდნელი შედეგით აღინიშნა: სეულის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი გაბრიელა საბატინი (არგენტინა) ჩეხოსლოვაკიელ იანა ნოვოტნასთან შეხვედრაში დამარცხდა — 6:1, 6:7, 6:7.

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 15 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (რიგა) — **17.55 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 15 ოქტომბერი.** საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი — **18.15**; სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო“ (თბილისი) — ასკ (ალმა-ათა) — **20.00**; დედოფლის გვირგვინისათვის — **21.35.**

**საქართველოს რადიო. 15 ოქტომბერი.** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. პირველი ლიგა. ასკ (როსტოვი) — „გურია“ (ლანჩხუთი) — II ტაიმის რეპორტაჟი როსტოვიდან — **21.15.**

რედაქტორის მოადგილე
შ. ჭიჭინაძე.

ინდექსი 66436. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო - კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 10888